საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.482106820**
თარიღი:**09/03/2021**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის'' 2019 წლის 19 დეკემბრის №4 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და „მოიჯარე" ავთანდილ დვალიშვილს 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის №4 ხელშეკრულება. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 17 579.880 ლარს, მოიჯარე წლიურ საიჯარო ქირას იხდის წლის განმავლობაში სამჯერ: პირველ შენატანს-5859,96 ლარს ყოველი წლის 30 მარტამდე, მეორე შენატანს-5859,96 ლარს ყოველი წლის 30 აგვისტომდე, ხოლო მესამე შენატანს-5859,96 ლარს ყოველი წლის 30 ნოემბრამდე. ამავე ხელშეკრულების მე-6 მუხლის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად: მოიჯარემ იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1039 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში გარე ვაჭრობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნით საკუთარი ხარჯებით უნდა განათავსოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა-ნაგებობა (ჯიხურები, დახლები) განთავსება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მოიჯარე ავთანდილ დვალიშვილის მიერ არ არის გადახდილი საიჯარო ქირა და არც ხელშეკრულების პირობებია შესრულებული. 2020 წლის 10 ივნისს განცხადებით მომართა მოიჯარემ და ითხოვა ქვეყანაში შექმნილი პანდემიის გამო 2020 წლის გადასახადისაგან მთლიანად განთავისუფება და ნაკისრი ვალდებულების 2020 წლის სექტემბრამდე გადავადება. მოიჯარეს წერილობით განემარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის მერიას არ ქონდა უფლება საიჯარო ქირის გადახდისაგან გათავისუფლების, თუმცა წერილობით აცნობა, რომ საიჯრო ქირის გადავადებით მომართვის შემთხვევაში მეიჯარის მხრიდან მოხდებოდა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა საიჯარო ქირის გადახდის გადავადების შესახებ. 2020 წლის 30 ივლისს მოიჯარეს მიეცა წერილობით გაფრთხლება, რათა 2020 წლის 10 აგვისტომდე გადაეხადა საიჯარო ქირის გადასახდელი (2020 წლის 30 მარტამდე გადასახადი-5859,96 ლარი) და პირგასამტეხლო გადაუხდელი ქირის 0,1 %, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ასევე, წერილის ჩაბარებიდან 2 (ორი) თვის ვადაში განათავსოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა-ნაგებობა (ჯიხურები, დახლები) განთავსება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. ანალოგიური წერილობითი გაფრთხილება მიეცა მოიჯარეს 2020 წლის 11 ნოემბრის მერის წერილით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოიჯარის მიერ არ იქნა შესრულებული

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25, (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM